დანართი №6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ქალაქ თბილისის N 144 საჯარო სკოლის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ქეთევან ბოტკოველი
წევრ(ებ)ი:
ვიქტორია უშანგიშვილი

ნაწილი I. შესავალი

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქალაქ თბილისის N 144 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ:204423472

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი თბილისი, ისანი-სამგორი, ორთაჭალის პირველი ჩიხი N5
საფოსტო ინდექსი	4300
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/273?sc hoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi144@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	2721768; 2751114; 95080837

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 2 26 0000355763, 24.03.2026
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	გეგმური მონიტორინგი განხორციელდა დოკუმენტაციის შესწავლით

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2026 წლის 24 მარტის, MES 2 26 0000355763 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს: თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); წევრი - ვიქტორია უშანგიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) დაევალა ავტორიზაციის დებულების დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული „ა" ქვეპუნქტის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების განახორციელება სსიპ- ქალაქ თბილისის N144 საჯარო სკოლის (ს/კ:204423472) დოკუმენტების შესწავლით (გეგმური მონიტორინგი).

სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რამდენჯერმე განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
1100	703

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობები.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N1.2.1.2	**სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.**	რეკომენდებულია, სკოლის სტრატეგიულ გეგმაში პროგრამული მიმართულებები, მიზნები და ამოცანები ჩამოყალიბდეს ერთიანი ტერმინოლოგიური ჩარჩოს შესაბამისად, ხოლო აქტივობები განისაზღვროს კონკრეტული, ოპერაციული და გაზომვადი ფორმით, **შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის 15 სექტემბერი**
ინდიკატორი N1.2.1.3	**სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.**	რეკომენდებულია, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ჩამოყალიბდეს სტრატეგიულ მიზნებთან/პროგრამულ მიმართულებებთან მკაფიო კავშირში და ასახავდეს კონკრეტული წლის საჭიროებებსა და თვითშეფასების შედეგებზე დაფუძნებულ ცვლილებებს - **შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის 15 სექტემბერი**
ინდიკატორი N1.2.1.4	**სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**	რეკომენდებულია, ერთწლიან სამოქმედო გეგმებში სრულყოფილად აისახოს სტრატეგიული მიზნების შესაბამისი კონკრეტული ამოცანები, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები და გაზომვადი შეფასების ინდიკატორები - **შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის 15 სექტემბერი**

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.2.2.4	**სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**	სასურველია სკოლამ მოახდინოს მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოვლენილი რეკომენდაციების სისტემური ინტეგრირება ერთწლიან სამოქმედო გეგმებში. კერძოდ, სასურველია გეგმების შინაარსობრივი ნაწილი ასახავდეს წინა პერიოდის შეფასების შედეგებზე დაფუძნებულ ცვლილებებს, რაც ხელს შეუწყობს დაგეგმვის პროცესის უწყვეტ გაუმჯობესებასა და შედეგზე ორიენტირებულ მართვას.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი

ავტორიზაციის წარმოების ფარგლებში პირველ სტანდარტთან მიმართებით ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებს;**

სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ანალიზი აჩვენებს, რომ ისინი მნიშვნელოვანწილად შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და ასახავს თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების ძირითად პრინციპებს.

მისიაში ხაზგასმული „ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე მოქალაქის აღზრდა“ პირდაპირ ეხმიანება ეროვნული მიზნების იმ ნაწილს, რომელიც მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის, კულტურული იდენტობისა და ეთიკური პრინციპების ჩამოყალიბებას გულისხმობს. ამავე დროს, უსაფრთხო და თანამშრომლობითი გარემოს შექმნაზე აქცენტი თანხვედრაშია დემოკრატიული ღირებულებების, ტოლერანტობისა და ეფექტიანი კომუნიკაციის განვითარების მიზნებთან.

ხედვაში წარმოდგენილი ორიენტაცია კონკურენტუნარიანობაზე, ხარისხიან ცოდნასა და უნარებზე შეესაბამება იმ ეროვნულ მიზნებს, რომლებიც უკავშირდება კრიტიკული აზროვნების, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებისა და პროფესიული წარმატებისთვის მომზადებას. ეს მიუთითებს, რომ სკოლა მიზნად ისახავს არა მხოლოდ ცოდნის გადაცემას, არამედ მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას.

სკოლის ღირებულებები, განსაკუთრებით ინოვაციური მიდგომების დანერგვა, თანამშრომლობითი კულტურა და უწყვეტი პროფესიული ზრდა, ქმნის კარგ საფუძველს როგორც აკადემიური, ისე პიროვნული განვითარების ხელშეწყობისთვის. ასევე დადებითად უნდა შეფასდეს სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და ინიციატივების მხარდაჭერის მიმართულება, რაც სამოქალაქო ცნობიერების გაძლიერებას უწყობს ხელს.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ქმნის მყარ საფუძველს ეროვნული საგანმანათლებლო მიზნების რეალიზებისთვის და ასახავს მათ ძირითად სულისკვეთებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;**

სსიპ - ქალაქ თბილისის N144 საჯარო სკოლის მისიისა და ხედვის ერთობლივი ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლა საკუთარ როლს აღიქვამს როგორც უსაფრთხო, განვითარებაზე ორიენტირებულ და სოციალური ფუნქციის მქონე საგანმანათლებლო სივრცეს. მისიაში მკაფიოდ არის ხაზგასმული უსაფრთხო, კეთილგანწყობილი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნა, რაც მიუთითებს, რომ სკოლა პრიორიტეტად მიიჩნევს ისეთი გარემოს უზრუნველყოფას, სადაც მოსწავლე დაცულად გრძნობს თავს და შეუძლია სრულფასოვანი ჩართულობა სასწავლო პროცესში. ამასთან, პიროვნული განვითარების და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე ორიენტაცია ადასტურებს, რომ სკოლა საკუთარ ფუნქციას ხედავს მოსწავლის ჰოლისტიკურ განვითარებაში, არა მხოლოდ ცოდნის გადაცემაში, არამედ მისი შესაძლებლობების სრულად გამოვლენაში.

ხედვა ამ მიდგომას ავითარებს და ამყარებს შედეგზე ორიენტირებული პერსპექტივით. კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო დაწესებულების ჩამოყალიბება და ისეთი კურსდამთავრებულების აღზრდა, რომლებიც ფლობენ საჭირო ცოდნასა და უნარებს და წარმატებით იმკვიდრებენ ადგილს საზოგადოებაში, მიუთითებს, რომ სკოლა საკუთარ საქმიანობას განიხილავს უფრო ფართო სოციალურ კონტექსტში. აქ განათლება წარმოდგენილია როგორც სოციალური ინტეგრაციისა და თვითრეალიზაციის მნიშვნელოვანი საფუძველი.

მისია და ხედვა ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული: პირველი განსაზღვრავს გარემოსა და ღირებულებით საფუძველს, ხოლო მეორე - ამ პროცესის საბოლოო შედეგს. ამ ურთიერთკავშირში იკვეთება, რომ სკოლა ფუნქციონირებს არა მხოლოდ როგორც საგანმანათლებლო, არამედ როგორც სოციალური და კულტურული სივრცე, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას, ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და საზოგადოებაში აქტიურ მონაწილეობას.

საერთო ჯამში, მისია და ხედვა ქმნის თანმიმდევრულ და შინაარსობრივად გამართულ ჩარჩოს, რომელიც აერთიანებს უსაფრთხო გარემოს, პიროვნულ განვითარებასა და სოციალურ როლს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;**

სსიპ - ქალაქ თბილისის N144 საჯარო სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ფორმირების პროცესი წარიმართა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა იმუშავა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების საკითხებზე. ამასთან, სამუშაო ჯგუფის შექმნა შესაბამისობაშია გამოყენებულ მეთოდოლოგიასთან, რომელიც ითვალისწინებს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში სპეციალური, მრავალმხრივად დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფის ფორმირებას და მისი ჩართულობით დოკუმენტების შემუშავებასა და მონიტორინგს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის დირექტორის ბრძანებით N 2–062, 31/03/2026, განხორციელდა სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის ცვლილება და მასში გაერთიანდნენ როგორც დირექციის, ადმინისტრაციის, კათედრების, მშობლების, ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობისა და თემის წარმომადგენლები. აღნიშნული ცვლილება კიდევ უფრო აძლიერებს პროცესის წარმომადგენლობითობას და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ფართო და დაბალანსებულ ჩართულობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

სსიპ - ქალაქ თბილისის №144 საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯარო და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი განთავსებულია დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე, რაც დასტურდება ვებ-გვერდის ვიზუალური დათვალიერებით. როგორც ირკვევა მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების პროცესი წარიმართა სასკოლო საზოგადოების ჩართულობის პრინციპით. უნდა აღინიშნოს, რომ მისია ხედვა და ღირებულებები თან ერთვის სკოლის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს, რომლებიც განხილულ იქნა პედაგოგიურ საბჭოზე და გასაცნობად წარედგინა სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 8 სექტემბერს (ოქმი N9).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ისინი განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე (emis.ge-ს ბაზაზე), რაც უზრუნველყოფს მათზე დისტანციურ წვდომას ნებისმიერ დროს. ასევე ვებგვერდზე განთავსებული ფოტომასალით დგინდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**

სკოლის სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის N448 ბრძანებისა და 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების („საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“) მოთხოვნების შესაბამისად, სკოლის სახელწოდება განსაზღვრულია როგორც: სსიპ ქალაქ თბილისის N144 საჯარო სკოლა.

აღნიშნული ფორმულირება ასახავს როგორც სკოლის ტიპს (საჯარო სკოლა), ისე მის სამართლებრივ სტატუსსა და იდენტიფიკაციას, რაც უზრუნველყოფს სახელწოდების ერთგვაროვნებასა და შესაბამისობას მოქმედ რეგულაციებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- ვებგვერდის დათვალიერების შედეგები;
- დირექტორის ბრძანება N2-062.

შეფასება:

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს „სსიპ - ქალაქ თბილისის N144 სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის "დოკუმენტი, რომელიც აღწერს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიას და განსაზღვრავს პროცესის ეტაპებს, პასუხისმგებელ პირებსა და ჩართულ მხარეებს. დოკუმენტში გაწერილია სტრატეგიული დაგეგმვის ქვეპროცესები (შემუშავება, გაზიარება, დამტკიცება, მონიტორინგი, შეფასება), ასევე იდენტიფიცირებულია სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფი – ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, სამეურვეო საბჭო და თემი, რაც მიუთითებს მრავალმხრივ ჩართულობაზე.

დოკუმენტი განსაზღვრავს ჩართულობის კონკრეტულ მექანიზმებს. ამ დოკუმენტის თანახმად სამუშაო ჯგუფის ფორმირებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა მხარის წარმომადგენლობა (მასწავლებლები, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი, მშობელი), რაც უზრუნველყოფს უშუალო მონაწილეობას დაგეგმვის პროცესში; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტები წინასწარ ზიარდება სასკოლო საზოგადოებასთან და შესაძლებელია მათი განხილვა როგორც ელექტრონულად (ელფოსტა, ვებგვერდი), ისე შეხვედრების ფორმატში (პედსაბჭო, სამეურვეო საბჭო, საჯარო განხილვები); ასევე გათვალისწინებულია უკუკავშირის მიღება და მისი განხილვა საბოლოო დოკუმენტის ფორმირებამდე. დამატებით, დაგეგმვის პროცესში გამოყენებულია არსებული მონაცემების ანალიზი (მაგ., მოსწრების მაჩვენებლები, ჩართულობა, კვლევები), რაც ასევე ასახავს სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.**

სკოლას შემუშავებული და კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული აქვს სტრატეგიული გეგმა (2023-2030 წლები). გეგმაში ჩამოყალიბებული მიზნები/პროგრამული მიმართულებები თემატურად თავსებადია სკოლის ფილოსოფიურ საფუძვლებთან (განვითარება, ხარისხის გაუმჯობესება, მოსწავლეზე ორიენტაცია და ა.შ.).

გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური, მოიცავს პროგრამულ მიმართულებებს და ამ მიმართულებების შესაბამის აქტივობებს. გეგმის სტრუქტურაში წარმოდგენილია შვიდწლიანი დროითი ჩარჩო და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. იგივე პროგრამული მიმართულებები და შესაბამისი აქტივობები ამავე დოკუმენტში აღწერილობით ნაწილში მიზნებად და ამოცანებად არის სახელდებული - მიზანშეწონილია, ერთი და იგივე ტერმინების გამოყენება ერთსა და იმავე მახასიათებლებთან მიმართებით.

პროგრამულ მიმართულებებთან/მიზნებთან დაკავშირებული აქტივობები უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილია ზოგადი ფორმულირებების სახით და ნაკლებად არის დაკონკრეტებული ოპერაციულ დონეზე, ამიტომ ვერ იქნება მიჩნეული ამოცანებად. მაგ.: აქტივობების გაწერისას გამოყენებულია ფორმულირებები, როგორიცაა „სასწავლო პროცესის გაუმჯობესება “, „მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება “, „სკოლის გარემოს განვითარება “, რომლებიც ასახავს ზოგად მიმართულებას, თუმცა არ წარმოადგენს კონკრეტულ და გაზომვად ამოცანებს.

საერთო ჯამში გამოიკვეთა, რომ სკოლის სტრატეგიულ გეგმაში პროგრამულ მიმართულებებთან/მიზნებთან დაკავშირებული აქტივობები წარმოდგენილია ზოგადი, დეკლარაციული ფორმულირებებით და არ არის გარდაქმნილი კონკრეტულ, ოპერაციულ და გაზომვად ამოცანებად. ამასთან, დოკუმენტში ერთსა და იმავე შინაარსობრივი ერთეულების აღსანიშნავად გამოყენებულია განსხვავებული ტერმინოლოგია (პროგრამული მიმართულებები, მიზნები, ამოცანები), რაც ართულებს გეგმის სტრუქტურულ ერთგვაროვნებასა და აღქმას. შედეგად, ვერ ხდება დაგეგმილი აქტივობების შესრულების ხარისხის, პროგრესისა და შედეგების ობიექტური შეფასება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“, თუმცა სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც სტრატეგიული გეგმის კორექტირება დაგეგმილია 2026 წლის 10 სექტემბრამდე. აღნიშნულის საფუძველზე შეიცვალა ინდიკატორის შეფასება და სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია: სკოლის სტრატეგიულ გეგმაში პროგრამული მიმართულებები, მიზნები და ამოცანები ჩამოყალიბდეს ერთიანი ტერმინოლოგიური ჩარჩოს შესაბამისად, ხოლო აქტივობები განისაზღვროს კონკრეტული, ოპერაციული და გაზომვადი ფორმით, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის 15 სექტემბრამდე.

ინდიკატორის შეფასდა, როგორც “მეტწილად შესაბამისი”.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.**

სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული ძირითადი მიმართულებები ერთწლიან გეგმებში ფორმალურად არის ასახული და თემატური თანხვედრა იკვეთება, თუმცა არ ჩანს ამ მიმართულებების ფარგლებში განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან აქტივობების პირდაპირი გამოყვანა, რის გამოც სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნება სრულად დასაბუთებული არ არის. მაგ.: სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია აქტივობა, რომელიც ეხება კვლევის მეთოდოლოგიის აქტიურ გამოყენებას, რაც ერთწლიან გეგმებში მხოლოდ ნაწილობრივ და ფრაგმენტულად არის ასახული ცალკეული გამოკითხვების სახით, თუმცა არ ჩანს მისი სისტემური და მიზნობრივი გაგრძელება.

ერთწლიანი გეგმების (2023-2024 და 2025-2026 წლების) ანალიზი აჩვენებს, რომ სხვადასხვა წლის გეგმებში მეორდება იდენტური აქტივობები და სტრუქტურა, რაც მიუთითებს შაბლონურ დაგეგმვაზე და არა ყოველწლიურ თვითშეფასებაზე რეაგირებაზე - არ იკვეთება გეგმების შინაარსობრივი ცვლილება ან განვითარება წლების მიხედვით, რაც უნდა იყოს თვითშეფასების პროცესის შედეგი.

საერთო ჯამში, ერთწლიან გეგმებში ყოველთვის არ იკვეთება სტრატეგიული მიზნებთან (როგორც სტრატეგულ გეგმაში არის ნახსენები- პროგრამულ მიმართულებებთან) და შესაბამის აქტივობებთან ლოგიკური და მიზნობრივი კავშირი, რის გამოც სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნება დასტურდება ნაწილობრივ. ასევე, სხვადასხვა წლის ერთწლიანი გეგმების შინაარსობრივი იდენტურობა მიუთითებს, რომ ისინი არ ასახავს სკოლის ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებზე რეაგირებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“, თუმცა სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც სამოქმედო გეგმის კორექტირება დაგეგმილია 2026 წლის 10 სექტემბრამდე. აღნიშნულის საფუძველზე შეიცვალა ინდიკატორის შეფასება და სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია: ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ჩამოყალიბდეს სტრატეგიულ მიზნებთან/პროგრამულ მიმართულებებთან მკაფიო კავშირში, რომელშიც ასახული იქნება კონკრეტული წლის საჭიროებები და თვითშეფასების შედეგებზე დაფუძნებულ ცვლილებები - **შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის 15 სექტემბერი**
ინდიკატორის შეფასდა, როგორც "მეტწილად შესაბამისი".

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

ერთწლიანი სამოქმედო გეგმების ანალიზი აჩვენებს, რომ ისინი მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება აღნიშნულ ინდიკატორს. გეგმებში წარმოდგენილია აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და დროითი განაწილება თვეების ჭრილში, რაც დადებითად შეიძლება შეფასდეს. თუმცა საერთო ჯამში სამოქმედო გეგმებში არ არის სრულად წარმოდგენილი გაზომვადი ინდიკატორები და რესურსები. 2023-2024 წლის გეგმაში ისინი მხოლოდ ნაწილობრივ და ხშირად არასაკმარისად კონკრეტულად არის გაწერილი, ხოლო 2025-2026 წლის გეგმაში საერთოდ არ არის მითითებული. შესაბამისად, ერთწლიანი გეგმა ვერ უზრუნველყოფს სრულფასოვან დაგეგმვას, ვინაიდან მასში არ არის განსაზღვრული კონკრეტული ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები. აღნიშნული ართულებს დაგეგმილი აქტივობების ეფექტიანობის შეფასებასა და მიღწეული პროგრესის ობიექტურად განსაზღვრას. ასევე გეგმაში არ არის განსაზღვრული შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“, თუმცა სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც სამოქმედო გეგმის კორექტირება დაგეგმილია 2026 წლის 10 სექტემბრამდე. აღნიშნულის საფუძველზე შეიცვალა ინდიკატორის შეფასება და სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია: **ერთწლიან სამოქმედო გეგმებში სრულყოფილად აისახოს სტრატეგიული მიზნების შესაბამისი კონკრეტული ამოცანები, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები და გაზომვადი შეფასების ინდიკატორები, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის 15 სექტემბერი**
ინდიკატორის შეფასდა, როგორც "მეტწილად შესაბამისი".

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ-ქალაქ თბილისის N144 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N144 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N9 (08.09.2023), სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N144 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N9-ის დანართი. სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის სკოლის განვითარების სტრატეგიული სამოქმედო გეგმა;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N144 საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სსიპ - ქალაქ თბილისის N144 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს და ეს პროცესები სისტემურად არის ინტეგრირებული დაგეგმვის ციკლში.

მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია მონიტორინგისა და შეფასების პერიოდულობა – სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ორჯერ (იანვარსა და ივნისში), საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებული დამატებითი მონიტორინგი, ხოლო სტრატეგიული გეგმის შეფასება მიმდინარეობს მისი განხორციელების პერიოდში შუალედურად და საბოლოოდ. ასევე გაწერილია პასუხისმგებელი პირები (სამუშაო ჯგუფი და მისი თავმჯდომარე), მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მექანიზმები (ანგარიშები, მტკიცებულებები) და მონიტორინგის ალტერნატიული ინსტრუმენტები (ელექტრონული ფაილები/დრაივი ან წერილობითი ანგარიშების სისტემა). დოკუმენტი ითვალისწინებს ანგარიშგებასა და შედეგების გამოყენებას - მზადდება წლიური და სტრატეგიული ანგარიშები, რომლებიც საჯაროდ ქვეყნდება და გამოიყენება გეგმების კორექტირებისა და სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლა მეთოდოლოგიის შესაბამისად ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმი ასახავს პროცესის ფორმალიზებულ და სტრუქტურირებულ განხორციელებას - განსაზღვრულია შეხვედრის ფორმატი, მონაწილეები და დღის წესრიგი, ხოლო აქტივობების შესრულება

ფასდება როგორც აღწერითი ანალიზით, ისე ცხრილით, სადაც ფიქსირდება შესრულების სტატუსები. პედაგოგიური საბჭოს ანგარიში ამ პროცესს ავსებს შინაარსობრივი შეფასებით, სადაც წარმოდგენილია მიღწევების, გამოწვევებისა და საჭიროებების ანალიზი სხვადასხვა მიმართულებით, რაც მიუთითებს შეფასების გამოყენებაზე სკოლის შემდგომი განვითარების.

ამასთან, ორივე დოკუმენტში იკვეთება შიდა დაინტერესებული მხარეების - განსაკუთრებით მასწავლებლებისა და სამუშაო ჯგუფის - აქტიური ჩართულობა მონიტორინგისა და შეფასების პროცესში, ასევე შედეგებზე დაყრდნობით რეკომენდაციების და შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრა (მაგ., სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, მოსწავლეთა შედეგებზე ფოკუსის გაძლიერება, პროფესიული მხარდაჭერა).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

დაგეგმარების მეთოდლოგიის დოკუმენტის თანახმად სკოლა უზრუნველყოფს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საჯაროობას. კერძოდ, სამოქმედო გეგმის წლიური და სტრატეგიული გეგმის პერიოდული შესრულების ანგარიშები ფორმდება ნარატიული სახით და დამტკიცების შემდეგ ქვეყნდება სკოლის ვებგვერდზე. ამასთან, დოკუმენტი ითვალისწინებს ინფორმაციის გაზიარებას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით (ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, საჯარო ღონისძიებები და სხვ.), რაც ზრდის ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.

ოქმებში ჩანს, რომ ანგარიშები წარდგენილია შესაბამის შეხვედრებზე (მაგ., პედსაბჭო, სამეურვეო საბჭო ან სამუშაო ჯგუფი), განხილულია მონაწილე მხარეების ჩართულობით და დაფიქსირებულია მათი მოსაზრებები. ეს მიუთითებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს არა მხოლოდ შედეგების საჯაროობას, არამედ მათი გაზიარებისა და კოლექტიური განხილვის პრაქტიკას.

ერთწლიანი გეგმის შესრულების ანგარიში ატვირთულია სკოლის შესაბამის ელექტრონულ გვერდზე სკოლების პორტალზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

წარმოდგენილი ოქმების ანალიზიდან ჩანს, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ფარგლებში იკვეთება რეკომენდაციები და განისაზღვრება მომდევნო ნაბიჯები, რაც გვაფიქრებინებს, რომ სკოლა გარკვეულ დონეზე იყენებს მიღებულ შედეგებს შემდგომი განვითარებისათვის. თუმცა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმების ანალიზი აჩვენებს, რომ მათი სტრუქტურა და შინაარსი წლიდან წლამდე არსებითად არ იცვლება, რაც არ ადასტურებს შეფასების შედეგებზე დაფუძნებული სისტემური გაუმჯობესების პრაქტიკას. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ მიუხედავად რეკომენდაციების არსებობისა, მათი სრულფასოვანი ასახვა დაგეგმვის დოკუმენტებში ნაკლებად ხორციელდება. შესაბამისად სკოლას მიეცა **რჩევა**: **სასურველია სკოლამ მოახდინოს მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოვლენილი რეკომენდაციების სისტემური ინტეგრირება ერთწლიან სამოქმედო გეგმებში. კერძოდ, სასურველია გეგმების შინაარსობრივი ნაწილი ასახავდეს წინა პერიოდის შეფასების შედეგებზე დაფუძნებულ ცვლილებებს, რაც ხელს შეუწყობს დაგეგმვის პროცესის უწყვეტ გაუმჯობესებასა და შედეგზე ორიენტირებულ მართვას.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- თბილისის N144 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N144 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული გეგმების შემუშავების და მასზე მონიტორინგის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N144 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N2;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N144 საჯარო სკოლის გვერდი სკოლების პორტალზე https://skolebi.emis.ge/schools/273?sc=
- 2023-2024 სასწავლო წლის სკოლის განვითარების სტრატეგიული სამოქმედო გეგმა;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N144 საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება

■ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 14.05.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: **ქეთევან ბოტკოველი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: **ვიქტორია უშანგიშვილი**